საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1696

29/12/2021

ქ. თბილისი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ შპს „გეომაგინვესტპრომი“-ს კერამიკული აგურის საწარმოს მოწყობისა ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე“ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 17 თებერვლის №ი-55 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 19 ნოემბერს სამინისტროს მომართა შპს „გეომაგინვესტპრომის“ დირექტორმა და ითხოვა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „გეომაგინვესტპრომის“ კერამიკული აგურის წარმოებაზე (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. დვაბზუ) გაიცა №4 (08.02.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „გეომაგინვესტპრომის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ შპს „გეომაგინვესტპრომი“-ს კერამიკული აგურის საწარმოს მოწყობისა ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე“ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 17 თებერვლის №ი-55 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გეომაგინვესტპრომს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გეომაგინვესტპრომის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი